

ირინა ნაცვლიშვილი  
ფილოლოგის დოქტორი  
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი  
თბილისი, საქართველო

## ასწლოვანი მატიანის რუსულენოვანი თარგმანი (მნიშვნელობა და კულტუროლოგიური ასპექტები)

**თეზისები:** თანამედროვე გლობალისტური სამყაროს მულტიკულტურულ საზოგადოებაში თარგმანი, როგორც განსხვავებულ კულტურებს შორის ინტერაქციის საშუალება, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს.

ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეთნოკულტურული გარემოს ინტელექტუალური პროდუქტია, რომელიც ეპოქისთვის ნიშანდობლივ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პარადიგმათა კონტექსტში აღიქმება. შესაბამისად, მისი თარგმნის პროცესში აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება სრულფასოვანი ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მედიევალური ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშის – ასწლოვანი მატიანის – უახლეს თარგმანზე *Столетняя летопись* (2005), რომლის მნიშვნელობაზე აშკარად მეტყველებს მისი, როგორც ისტორიის, რეცეპცია თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობით, მონდოლოლოგიურ და კავკასიონლოგიურ არაქართულენოვან სამეცნიერო კვლევებში. რასაკვირველია, ასწლოვანი მატიანე თავისი მიზნობრიობით, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული ხასიათის თხზულებაა, მაგრამ მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლებით ის მედიევალური ქართული მწერლობის განუყოფელი ნაწილია, რაც გამორიცხავს მის აღქმას მხოლოდ ისტორიული წყაროს ჭრილში და უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ისტორია აქ გენოტიპური თუ ეპოქის ზოგადკულტუროლოგიური

პარადიგმების კონტექსტში იყითხება და სწორედ ამ გზით იძენს აზრსაც და სიცოცხლესაც. შესაბამისად, მისი, როგორც კულტურული ფაქტის, ტრანსფერი სხვა ენაზე მთარგმნელისგან არა მხოლოდ ენობრივ კომპეტენციას, არამედ სტილისა და პოეტიკის ადეკვატური ინტერპრეტაციის უნარსაც მოითხოვს. ასწლოვანი მატიანის რუსულ თარგმანზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ, ფაქტობრივი და ლინგვისტური თვალსაზრისით, ის უმთავრესად კარგად არის გამართული მიმღები კულტურის ენაზე; მთარგმნელი ოსტატურად ფლობს სიტყვას და ამ მხრივ თარგმანი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჭოვებს, თუმცა არის მთელი რიგი უზუსტობანი, განსაკუთრებით კი თხზულების ინტერტექსტთან დაკავშირებით, რომელიც მედიევალურ მწერლობაში ბიბლიური ციტატებისა და ალტიების სახით ვლინდება და მრავლისმნიშვნელია ფაქტების ინტერპრეტირებისა და შეფასებისას.

**საკვანძო სიტყვები:** მედიევალური, ისტორიოგრაფია, მხატვრულ-ესთეტიკური პარადიგმა, ინტერტექსტი

**Abstract:** In the multicultural society of the modern globalist world translation as a means of interaction between different cultures acquires special value.

Any literary text is, first and foremost, an intellectual product of its ethnocultural environment, perceived in the context of worldview and aesthetic paradigms that are significant for the epoch; Therefore, taking this factor into account in the process of translation is an important and necessary condition for full-fledged intercultural communication.

With this point of view, the article calls attention to the modern translation of *The Hundred Years Chronicle*, the importance of which is clearly reflected in its reception as history in modern Oriental, Mongolian and Caucasian studies.

*The Hundred Years Chronicle* is primarily historical work in its purpose, but in terms of artistic and aesthetic characteristics it is an integral part of medieval Georgian literature. This fact excludes its perception only in terms of historical source and, moreover, history is read in the context of the epoch's cultural paradigms and only in this way it gains meaning and life. Consequently, its transfer as a cultural fact to another language requires from a translator not only

## La traduction comme dialogue interlingual et interculturel

linguistic competence, but also the ability to adequately interpret style and poetics.

Based on the Russian translation of *The Hundred Years Chronicle* we can see that, speaking from a factual and linguistic point of view, it is mainly well ordered for the receiving culture's language. Although the translator is eloquent and in this respect translation leaves a pleasant impression, there are a number of inaccuracies, especially regarding the intertext of the work, which manifests itself in medieval literature in the form of biblical quotations and allusions and is highly important in the interpretation and evaluations of facts.

**Keywords:** medieval, historiography, artistic-esthetic paradigms, intertext

თანამედროვე გლობალისტური სამყაროს მულტიკულტურულ საზოგადოებაში თარგმანი, როგორც განსხვავებულ კულტურებს შორის ინტერაქციის საშუალება, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს.

ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეთნოკულტურული გარემოს ინტელექტუალური პროდუქტია, რომელიც ეპოქისთვის ნიშანდობლივ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პარადიგმათა კონტექსტში აღიქმება. შესაბამისად, მისი თარგმნის პროცესში აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება სრულფასოვანი ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მედიევალური ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშის – ასწლოვანი მატიანის – უახლეს თარგმანზე (*Столетняя летопись. Анонимный Грузинский Хронограф XIV века*, Перевод со старогрузинского Г.В. Цулая, Вып. I, Текст, М., 2005)<sup>1</sup>, რომლის მნიშვნელობაზე აშკარად მეტყველებს მისი, როგორც ისტორიის, რეცეპცია თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობით, მონღლოლოგიურ და კავკასიოლოგიურ არაქართულენოვან სამეცნიერო კვლევებში, ვინაიდან თხზულება, თავის მხრივ, შეიცავს უნიკალურ ცნობებს ხვარაზმელთა, მონღლოლთა, კავკასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის, აგრეთვე, აფხაზებისა და ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ. ეს უკანასკნელი ფაქტორი კი მის რუსულენოვან თარგმანს მეტად აქტუალურს ხდის

1. აღნიშნული თარგმანის ტექსტის ციტირებისას სტატიაში ვსარგებლობთ ამავე თარგმანის შემცველი ქართლის ცხოვრების რუსულენოვანი გამოცემით.

ქართული სახელმწიფოს მიმდინარე პრობლემებზე პოლიტიკური დისკურსისთვის.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ასწლოვანი მატიანე თუმცა კი თავისი მიზნობრიობით ისტორიული ხასიათის თხზულებაა, მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლებით ის მედიევალური ქართული მწერლობის განუყოფელი ნაწილია, რაც გამორიცხავს მის აღქმას მხოლოდ ისტორიული წყაროს ჭრილში და უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ისტორია აქ გენოტიპური თუ ეპოქის ზოგადკულტუროლოგიური პარადიგმების კონტექსტში იკითხება და სწორედ ამ გზით იძენს აზრსაც და სიცოცხლესაც. შესაბამისად, მისი, როგორც კულტურული ფაქტის, ტრანსფერი სხვა ენაზე მთარგმნელისგან არა მხოლოდ ენობრივ კომპეტენციას, არამედ სტილისა და პოეტიკის ადეკვატური ინტერპრეტაციის უნარსაც მოითხოვს.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის წერილობითი ძეგლების ავლევა, ქართლის ცხოვრებაში შეტანილი ტექსტების შესახებ კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ „ეს მოთხრობითი უანრის თხზულებანი [...] მხატვრული პრობის დარგში გადადიან“ (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 249). რა განაპირობებს ქართული საისტორიო მწერლობის მხატვრულ პრობად აღქმას? – ცხადია, თხრობის სტილი და ის ლიტერატურულ-ესთეტიკური კატეგორიები, რომლებიც აკვალიანებს, ზოგადად, შუა საუკუნეების ქართულ მწერლობას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამ ეპოქის ქართული ლიტერატურა უმთავრესად ბიზანტიურთან მჭიდრო კავშირში ვითარდება და კონკრეტულად საისტორიო პრობასთან მიმართებითაც, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი სწორედ ბერძნულ-ბიზანტიური გამოცდილებაა. ერთმნიშვნელოვნად შენიშნულია, რომ „ბიზანტიური ისტორიოგრაფიული ნაწარმოებების ავტორები საკუთრივ საისტორიო ამოცანების გვერდით მხატვრულ მიზნებსაც ისახავდნენ, როგორც ამას ითხოვდა ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ლიტერატურის ზოგიერთი თეორეტიკოსი და ისტორიკოსი<sup>12</sup> (Досталова, Византийская историяография (характер и формы) 28). შუა საუკუნეების წერილობითი ძეგლების, მათ შორის ისტორიოგრაფიულის, მხატვრულ ფაქტურას კი, მის პოეტიკას, უმთავრესად ბიბლიური სახეობრივი სისტემა ქმნის, რომლის საშუალებითაც იკვეთება ისტორიკოსის რეალური სათქმელიც. შესაბამისად, ასეთი ტექსტების თარგმანი ადეკვატურად უნდა ასახავდეს არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ მათი გადმოცემის სპეციფიკასაც, რათა მიმღებმა კულტურამ სათანადოდ გაიაზროს

2. სტატიაში ჩართული ციტატები რუსულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურიდან თარგმნილია ჩვენ მიერ – ი. ნ.

## La traduction comme dialogue interlingual et interculturel

ისინი არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ მსოფლიო მწერლობის განვითარების პროცესებსა და კონტექსტში, რაც, ცხადია, ეროვნული მნიშვნელობის ამოცანაა თავად ინტელექტუალური პროდუქტის შექმნელი კულტურისთვის.

ასწლოვანი მატიანე სამ ენაზეა თარგმნილი: ფრანგულად (მ. ბროსე – 1849 წ.), სომხურად (პ. მურადიანი – 1971 წ.) და რუსულად (გ. წულაია – 2005 წ.). რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არცერთი მათგანი სამეცნიერო ლიტერატურაში სიღრმისეულად არ განხილულა. ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, ვიმსჯელოთ თბილების ფრანგული და სომხური თარგმანების შესახებ, თუმცა ხელგვეწიფება რუსულენოვანი ტექსტის შეფასება, მით უფრო, რომ უცნობი ქართველი უამთააღმწერლის ნაშრომით დიდი ხნის წინ დავინტერესდით და ის არაერთი მიმართულებით გვაქვს შესწავლილი და გაანალიზებული.

ცხადია, მცირე პუბლიკაციის ფარგლებში ასწლოვანი მატიანის რუსული თარგმანის სრული მიმოხილვა შეუძლებელია. ამითომ მისი დედანთან შესატყვისობის ზოგადი სურათის წარმოსადგენად შევარჩით ერთი ვრცელი და მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელიც XIII საუკუნეში, მეფე რუსუდანის დროს, ხვარაზმელთა მიერ თბილისის მოოხრებას ასახავს.

უამთააღმწერელი საოცარი შინაგანი განცდით გადმოგვცემს საქართველოს დედაქალაქში დატრიალებულ ტრაგედიას:

**სოლო არა შემინდობს ტკივილი გულისა მოქსენებად, თუ ვითარ იქმნეს ხუარაზმელი შინაგან ქალაქსა. ვინ-მე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნილთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა?**

აქა მეგულების დაღუმებად, რომელ სალმობიერსა მიუთხრობ ტკივილითა გულისათა რამეთუ ესეოდენ მძვნვარედ იწყეს მოსრვად. ვითარ ჩჩულნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცვდიან და რომელსამე ტვინი დაეთხიის. და უკანის დედანი მოიკვლოდიან; ბერნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭაბუკი დაეკუეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩულთა თმა და სისხლი, თავი მკართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო. არა ჰყოფდეს წყალობასა, რამეთუ რომელნიმე დანითა იღლიასა დასობილნი, სხუანი მკერდსა დაცემითა, რომელნიმე მუცელსა და ზურგსა განიგმირებოდეს.

ში სალმობიერი ღალადი და დიდი ღალადი ცრემლთა! ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა კმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა ცხოვარი შეკრიბიან, და

კუალად ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა ზოგნი ძმათა და მამათა, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკუდარ მდებარეთა ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძალთა მიერ ზიდულთა, და არცა თუ დაფლვასა მიწასა შინა ღირს ჰყოფდეს. ეკლესიანი და ყოველნი პატიოსანნი სამსხურპლონი შეურაცხ იქმნებოდეს, და პატიოსანნი მდდელნი ეკლესიათა შინა, თვით ხატთა და ჯუართა თანა, შეიმუსვროდეს. (ასწლოვანი მატიანე 175-176)

სრულიად აშკარაა, რომ ასწლოვანი მატიანის ამ პასაუში რეალური ისტორიული ვითარება წარმოდგენილია იერემიას ბიბლიური წიგნების (წინასწარმეტყველება და გოდება) კვალობაზე (მაგ.: იერ. 7,33; 11,22; 14,16; 16,6; გოდ. 2. 20-21 და სხვ). კარგი იქნებოდა, მთარგმელს გაეთვალისწინებინა ეს გარემოება, რაც, სავარაუდოდ, მას საშუალებას მისცემდა, დასახელებული წიგნების რუსული ვერსიების გამოყენებით ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ადეკვატურად შეერჩია საჭირო ლექსიკური მასალა, ვინაიდან თხზულების ჩვენ მიერ დამოწმებული ტექსტის შესაბამის თარგმანში ემოციური მუხტი თუმცა კი შენარჩუნებულია, მათ შორის რიტორიკული შეძახილებისა და შორისდებულების საშუალებითაც, მაგრამ დაკარგულია ბიბლიური კონტექსტი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მედიევალური ისტორიოგრაფიული სტილისა და აზროვნების სპეციფიკური ნიშანია და მოვლენათა აღქმა-გააზრებისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს. თარგმანში ვკითხულობთ:

**Боль сердца моего не дает мне молвить о том, что натворили хорезмийцы в городе. Кто бы вынес слова, об этом сказанные, и испытания, что постигли христиан от язычников?**

Здесь мне хотелось бы замолкнуть, ибо с болью в сердце повествую, как нещадно они распоясались, отрывая от грудей материнских младенцев и пред материами разбивая их о камень; у иных вышибали глаза и мозжили головы и затем умерщвляли матерей; старцев на улицах затаптывали копытами лошадей, зарубали юнцов, и текли кровавые реки, человеческие мозги – женщин, старцев и младенцев, волосы и кровь, головы и отсеченные части тел, кишки растоптаные и затоптаные лошадьми – все было перемешано. Не являли милосердия, предавали смерти отсечением плеч, опрокидыванием наизнечь и распарыванием живота.

О, вопиющий недуг да слезы зычно гоносящие! Звуки криков и истошных стенаний сотрясали город, ибо большинство народа согнали, словно овец, и видели одни любимых чад, другие братьев и отцов, жены – мужей, мужья – жен, в бесчестии преданных

## La traduction comme dialogue interlingual et interculturel

на погибель, затоптанных конями и на улицах терзаемых псами, лишенных права на погребение. Оскверненные церкви и пречистые жертвенные, а благочинные священники, в церквах заодно с **образами** и крестами истребленные. (Столетняя летопись 341)

თარგმნილი ტექსტის დამოწმებულ ამონარილში ყურადღებას მივაკევთ რამდენიმე ფრაზას, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, სიზუსტის თვალსაზრისით, აცდენილია დედნისეულ იყითხვისთან. მაგალითად: „არა შემინდობს ტკივილი გულისა მოგსენებად“ თავისი მნიშვნელობითა და ემოციური გამოძახველობით არ არის ტოლფარდი ფრაზისა: „ტკივილი გულისა ჩემისა არ მაძლევს თქმის საშუალებას“ („Боль сердца моего не дает мне молвить о том“), ისევე როგორც „სალმობიერსა მიუთხრობ ტკივილითა გულისათა“ – ფრაზის: „გულისტკივილით ვყვები“ („с болью в сердце повествую“). უამთააღმწერელი გვამცნობს, რომ ჩვილებს დედებს მკერდიდან სტაცებდნენ და მათ წინაშე ქვაზე ანარცხებდნენ, რის გამოც ზოგიერთ ჩვილთაგანს თვალები წარმოცვივდებოდა, ზოგისა კი ტკინი დაითხეოდა („ჩჩლნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცვდიან და რომელსამე ტვინი დაეთხის“), თარგმნის მიხედვით კი, დედების წინაშე ჩვილებს ქვაზე ანარცხებდნენ, ზოგიერთს თვალებს თხრიდნენ და განტვინავდნენ („пред материями разбивая их о камень; у иных вышибали глаза и мозжили головы“) – ნათელია, რომ ამ შემთხვევაში დედნისეული თხრობის სიზუსტე თარგმანში დაცული არ არის. იგვე ითქმის სხვა იკითხვისის თაობაზეც: „ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩლთა თმა და სისხლი, თავი მკართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო“, რომელიც თარგმანში ასეა წარმოდგენილი: „**человеческие мозги – женщины, старцев и младенцев, волосы и кровь, головы и отсеченные части тел, кишki растоптанные и затоптанные лошадьми – все было перемешано**“. ერთი მხრივ, კაცი – მამაკაცი, როგორც ანტინომიური მეწყვილე დედისა – დედაკაცისა (ანალოგიური წყვილია შემდეგი ორი სიტყვაც – ბერნი და ყრმანი), მთარგმნელს, როგორც ჩანს, გაუგია ადამიანად, რის გამოც დაირღვა არა მხოლოდ სიზუსტე დედნისეული ტექსტისა, არამედ მხატვრული სტილიც; მეორე მხრივ კი, ქართველი უამთააღმწერლის მიერ ასევე მხატვრულად სტილიზებული, თუმცა მარტივად გასაგები მოკვეთილი თავის აღმნიშვნელი ფრაზა – „**თავი მკართაგან განშორებული**“ – ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით ნათარგმნია არა მხოლოდ სტილიზაციის უგულებელყოფით, არამედ ფაქტის არაზუსტი ინტერპრეტირებითაც, როგორც „**თავები და სხეულთა მოკვეთილი ნაწლები**“ („**головы и отсеченные части тел**“). ცხადია

სხვა წინადადების თარგმანის ფაქტობრივ-შინაარსობრივი უზუსტობაც: „არა ჰყოფდეს წყალობასა, რამეთუ რომელნიმე დანითა იღლიასა დასობილნი, სხუანი მკერდსა დაცემითა<sup>3</sup>, რომელნიმე მუცელსა და ზურგსა განიგმირებოდეს“ – „Не являли милосердия, предавали смерти отсечением плеч, опрокидыванием навзничь и распарыванием живота“.

ამავე კონტექსტში ყურადღება მივაქციეთ ორ გარემოებას: 1. ხატის (ღვთის, წმინდანების თუ ბიბლიურ მოვლენათა ფერწერული ან რელიეფური გამოსახულება) შესატყვისად მთარგმნელი იყენებს სიტყვას „**образ**“ (სახე, გამოსახულება), რაც, ჩვენი აზრით, სრულიად უმართებულოა; 2. ტექსტში („ვითარ იქმნეს ხუარაზმელნი შინაგან ქალაქება. ვინ-მე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნილთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა?“) ხვარაზმელთა სახელდებისთვის, როგორც ჩანს, გამეორების თავიდან ასაცილებლად ამატებს სიტყვას „**язычников**“ – წარმართი („что натворили хорезмийцы в городе. Кто бы вынес слова, об этом сказанные, и испытания, что постигли христиан от язычников?“). ეს სიტყვა არ არის ქართულ ტექსტში და ვერც იქნებოდა, რადგან არ შეესატყვისება ხვარაზმელთა რწევნას (ისლამს). ამიტომ მთარგმნელის ამგვარი ქმედება ვერანაირად ვერ თავსდება თუნდაც თავისუფალი შემოქმედებითი ინტერპრეტაციის ფარგლებში, ვინაიდან ეჭვეკვეშ აყენებს ქართველი ისტორიკოსის ცნობათა სანდოობას.

რამდენიმე უზუსტობაა ზემოთ დამოწმებული ეპიზოდის შემდეგი ნაწილის თარგმანშიც. მაგალითად: რუსუდან მეფის მიერ ისნის დატოვების ბრძანების გაცემის შესახებ უამთააღმწერელი, როგორც ჩანს, ეყრდნობა კონკრეტულ წყაროს, რომელსაც ასახელებს კიდეც: „ვითარცა სწერს ვინმე ბერი მღვმელი“ (ასწლოვანი მატიანე 177). მთარგმნელს აშკარად ვერ გაუგია ამ კონტექსტში სიტყვა „**ბერის**“ (სასულიერო პირი) მნიშვნელობა და ის უთარგმნია, როგორც „Старецъ Мгвимели“ (Столетняя летопись 342), ანუ მოხუცი ან უხუცესი, რაც, ცხადია, შეცდომაა.

საინტერესოა, რომ ამავე ეპიზოდში ქართველი ისტორიკოსი იმოწმებს ტიტესა და ვესპანიისიანეს მიერ იერუსალიმის იავარების შესახებ ცნობებს, რომელთა შესახებაც წერს: „ვითარცა უამთააღმწერელი და მრავალმომთხრობელი იოსიპოს წარმოიტყვს ესოდენ ძნელბელობასა იუდელთასა“ (ასწლოვანი მატიანე 176), ტექსტის რუსულ თარგმანში კი ვკითხულობთ: „Говорит о том хронист и повествователь Иосиф Флавий“ (Столетняя летопись 341). რამდენად შეიძლება იოსებ ფლავიოსს ქრონისტი ვუწოდოთ და არის თუ არა

3. იგულისხმება დანის დაცემა – ი. ნ.

## La traduction comme dialogue interlingual et interculturel

უამთაალმწერლობა ქრონიკაფია – ქრონიკა? ამასთან დაკავშირებით, შევნიშნავთ, რომ ტრადიციულად ბიზანტიური ისტორიის წერილობით წყაროებს ორ ჯგუფად ყოფენ: ისტორიოგრაფიად და ქრონიკად. ჩეხი მკვლევარი რუსენა დოსტალოვა მრავალრიცხვან სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით სისტემურად წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებებს ამ ორი ჯგუფის საისტორიო ხასიათის თხზულებების განმასხვავებელი ნიშნების შესახებ და, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ, ზოგიერთი განმარტებით, ისტორიოგრაფიისა და ქრონიკის დაპირისპირებისთვის არსებითი საფუძველი არ არსებობს. თუმცა, მისივე თქმით, ისიც ცხადია, რომ მათ თავიანთ ნაშრომებშივე ასხვავებდნენ თვით ბიზანტიელი ავტორები და მიანიშნებდნენ კიდეც რიგ კონცეპტუალურ გარემოებებზე. მკვლევრის დაკვირვებით, ერთი მთავარი განსხვავება ბიზანტიურ ისტორიოგრაფიასა და ქრონიკას შორის არის ამ უკანასკნელის კავშირი რომაულ-ქრისტიანულ, ხოლო პირველის – ანტიკურ, კერძოდ, ჰეროდოტესა და თუკიდიდეს ტრადიციასთან არა მხოლოდ ენისა და სტილის, არამედ ნაწარმოების კონცეფციის თვალსაზრისითაც. ხოლო ისტორიოგრაფიის თეორიას ბიზანტიელი ავტორები ეცნობოდნენ პილიბიოსის, დიონისე ჰალიკარნასელისა თუ ლუკიანეს ნაშრომებიდან, რომელთა მიხედვით, იკვეთება ამ უანრის თხზულებათა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი: დიდაქტიკური მიზნობრიობა, მოვლენათა მიზეზშედეგობრიობის ჩვენება, ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრული თხრობა, გამონაგონის უგულებელყოფა, ზეპირი ტრადიციისა თუ სხვა წყაროების კრიტიკული გადასინჯვავა, ჭეშმარიტების აღწერა ყოველგვარი მაამებლობის გარეშე და სხვ. (Гринин, *Византийская историография (характер и формы)* 22-24). ამგვარი მსჯელობის ფონზე, არ შეიძლება არ გაგვასწენდეს ქართველი უამთაალმწერელი და მისი ცნობილი ფრაზა: „უამთაალმწერელობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს და არა თუაღ-ახმა ვისთვასმე“ (ასწლოვანი მატიანე 199). მოხმობილ ციტატაში დადასტურებულ ტერმინთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი წერდა:

აგებულობისდა მიხედვით ბერძნულს ხრონილრაფიას უნდა უდრიდეს ქართული „უამთაალმწერელობა“ [...] თითქოს ხრონილრაფის შემდგენელს უნდა ნიშნავდეს ტერმინი „უამთაალმწერელი“-ც. მაგრამ ამ ორსავე ტერმინს, წარსულში, როგორც ეტყობა, უფრო ფართო მნიშვნელობაც ჰქონია და უამთაალმწერელობა ისტორიკოსობას პნიშნავდა, უამთაალმწერელი – კი ისტორიკოსაც: იოსეპოს ფლავიოსი ქართულს მწერლობაში მაგ. უამთაალმწერელად იწოდება. (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა 29)

სხვათა შორის, ასე იოსებ ფლავიუსს ორჯერ XIV საუკუნის ქართველი უამთააღმწერელი მოიხსნიებს ასწლოვან მატიანეში (176; 205). უნდა აღინიშნოს, რომ ფლავიუსის არცერთი თხზულება, ისევე როგორც ქართველი უამთააღმწერლის ნაშრომი არ ესადაგება საკუთრივ ქრონოგრაფიის ტრადიციულ ტიპს, ე. წ. მსოფლიო ქრონიკას, როგორსაც წარმოგვიდგენს ბიზანტიური მწერლობა, მაგალითად, გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის“ სახით, რომელიც გადმოსცემს მსოფლიო ისტორიას დაბადებიდან ავტორის დრომდე (IX ს.). ჩვენი აზრით, მართალი უნდა იყოს ო. ჯავახიშვილი, როცა, ტექსტის ხასიათსა და სტილზე დაკვირვებიდან გამომდინარე, შენიშნავს, რომ უამთააღმწერლობასაც და უამთააღმწერელსაც წარსულში უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და ისტორიკოსობასა და ისტორიკოსს აღნიშნავდა. საინტერესოა, რომ იქვე ო. ჯავახიშვილი ახსენებს თამარ მეფის ისტორიაში დადასტურებულ ტერმინს – „ისტორიათააღმწერელობას“, რომელიც, მისი თემით, „მნიშვნელობით ისტორიოგრაფიას უნდა უდრიდეს. ახლად შემოღებული ტერმინი ძველს ქართულს მწერლობაში, როგორც ჩანს, ვერ შეუთვისებიათ და შემდევ აღარსად გვხვდება“ (ჯავახიშვილი, *op. cit.* 29). ვფიქრობთ, იგივე შეგვიძლია ვთქვათ ტერმინ უამთააღმწერლობის შესახებაც, რომელიც მხოლოდ იმიტომ შემორჩა მეხსიერებას და მეტ-ნაკლებად ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ლექსიკაშიც, რომ ო. ჯავახიშვილმა XIV საუკუნის უნიონ ქართველ ისტორიკოსს პირობითად უამთააღმწერელი უწოდა, ეს სახელი კი „ერთხმად გაიზიარა და თითქმის საკუთარ სახელად აქცია ქართულმა ისტორიოგრაფიამ“ (კიკნაძე, უამთააღმწერელი და მისი „ასწლოვანი მატიანე“ 12-13). გვრჩება შთაბეჭდილება, რომ XIII საუკუნიდან, თამარ მეფის ისტორიკოსიდან მოყოლებული, მიმდინარეობს ტერმინოლოგიური ძიება და ამ მხრივ დაბუსტება უანრისა საკუთრივ ისტორიული შინაარსის შრომებისთვის, რომელთა სახელწილებად, ისევე როგორც აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებისა, მანამდე უმთავრესად „ცხორება“ იხმარებოდა. ამასთანავე, არ არის ინტერესმოკლებული, რომ, როგორც შენიშნავენ, ბიზანტიური საისტორიო მწერლობის წიაღში XI-XII საუკუნეებიდან, ანტიკური კულტურის ტრადიციების ახალი აღმავლობის შესაბამისად, ჩნდებიან ისეთი ავტორები, რომლებიც თავიანთი „ქრონოგრაფიების“ სახით არღვევენ წინარე ხანის „ქრონოგრაფების“, ანუ მსოფლიო ისტორიული ქრონიკების, ჩარჩოებს და საკუთარ თხრობას აქცევენ ისტორიად. ასეთთა შორის, პირველ რიგში, ასახელებენ მიქაელ ფსელოსს (XI ს.), რომლის საისტორიო ხასიათის ნაშრომი ბიზანტიის ისტორიის ასწლოვან პერიოდს ეძღვნება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოდგენილია მარადიული ისტორიის კონტექსტთან მიმართებით, მეორე მხრივ კი,

## La traduction comme dialogue interlingual et interculturel

მიწიერ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთდამოკიდებულების ჭრილში. ამასთანავე, ავტორი ისტორიულ გმირს წარმოაჩენს ბიოგრაფიულ ნარატივში, როგორც ცოცხალ, წინააღმდეგობრივ და ცვალებაზ არსებას, თავისი დადებითი თუ უარყოფითი ბუნებითა და ქმედებებით (Гринин, *op. cit.*). სწორედ ასეთი ტიპის ისტორიოგრაფიული ნაშრომია ქართველი უამთააღმწერლის ასწლოვანი მატიანეც, როგორც ის, მასში აღწერილი პერიოდის მიხედვით, მარჯვედ დაასათაურათ. უორდანიამ (ქრონიკები, III 563). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული მატიანის ტექსტში იოსებ ფლავიუსთან დაკავშირებით გამოყენებული ტერმინის – „უამთააღმწერელის“ – შესატყვისად ვერ გამოდგება რუსულ თარგმანში დადასტურებული „ქრონისტი“ (*хронист*), ვინაიდან, როგორც ზემოთ წარმოდგენილი სამეცნიერო მასალიდან ჩანს, ქრონიკა და ისტორიოგრაფია, გინდაც ქრონოგრაფი და ქრონოგრაფია ტიპოლოგიურად განსხვავებული სახის საისტორიო თხზულებებია. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ არაზუსტად მიგვაჩინია მთარგმნელის მიერ ებრაელ ისტორიკოსთან მიმართებით გამოყენებული მეორე მსაზღვრელიც – **повествователь**, რომელიც თითქოს ამცრობს და სრულად არ გამოხატავს ქართველი ავტორის მიერ საგანგებოდ აქცენტირებულ შეფასებას – „მრავალმომთხრობელი იოსიპოს“, რომელიც ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით, „ბერძნულს „პოლვსტორს“ უდრის“ (*Op. cit.* 37).

სიტყვა რომ ძალიან არ გაგვიგრძელდეს, ამავე ეპიზოდის ფარგლებში (უამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე 177-179) მხოლოდ დავასახელებთ არაზუსტი თარგმანის (*Столетняя летопись* 342) კიდევ რამდენიმე შემთხვევას, რომლებიც, ვფიქრობთ, შინაარსობრივად ცვლის დენის მონაცემებს და, სავარაუდოდ, ქართული ტექსტის ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის ან სინტაქსური კონსტრუქციის არასწორი გაგებისა და გააზრების შედეგია. მაგალითად: „**прибрав к суровым рукам город**“ („და ესრეთ რა **ძლიერად პელთ იგდო ქალაქი**“), „**изобрел иное зло**“ („**მოიგონა სხუაცა სიბოროტე**“), „**образы Господа нашего Иисуса Христа и Всесвятой Богородицы, что были собственностью Сиона**“ („**ხატი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, რომელი სიონს მკუდრ იყო**“), „**Во исполнение этой воли приводили мужей со своими женами**“ („**მრბანა ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა**“), „**Многие же выказали блестящее сопротивление**“ („**მრავალთა უკუე ბრწყინვალე **ძლევა აჩუენეს****“) და სხვ.

ეპიზოდის ბოლოს უამთააღმწერელი წერს:

და გაგრძელდა ესევითარი ჭირი და ზეგარდამომავალი რისხვა ხუთისა წლისა უამთა, რამეთუ ორ წელ პირველ აღაოგრეს ქუეყანა და ხუთი წლის ქალაქისა დაყვეს, და აოგრებდეს ქუეყანათა ამათ ზემოქსენებულთა, არღარა იყო შენებულება თვნიერ ციხეთა და სიმაგრეთა, რამეთუ ქუეყანა საქართველოსა მიეცა განსარყუნელად, ამის ძალითა, რამეთუ დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყუარული, სიწრფოება, სიმშვდე, სიმართლე, და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავანება, ზაკუა, შური, კდომა, სიძულილი, ანგარება, მიმდლავრება, კლვანი, პარვანი, სიძგანი, უწესოებანი, ვითარცა იტყვს წინასწარმეტეული: „ვად მათდა, რომელი კუალსა ბალამისსა შეუდგეს და საქმესა სოდომელთასა იქმან“, რამეთუ ყოველმან ასაკმან ბერთა და ჭაბუკთამან, მცირითგან ვიდრე დიდადმდე, მიაქციეს სიბოროტედ. რამეთუ სენი იგი სოდომელთა და სალმობა გომორელთა მოიწია, და ამის ძალითა მისცნა იგინი ღმერთმან წარწყმედად ბოროტად, რამეთუ განვიწირენით ღმრთისა მიერ, რომელ დავივიწყეთ ღმერთი და ღმერთმანცა სამართლად დაგვვიწყა. და მოოკრდა ქუეყანა საქართველოსა, ლიხთ-აქათ მოოკრდა, ვითარცა კმობს ესაია წინასწარმეტყული: „ვად ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს ცოდვითა, ნათესავნი ბოროტნი, ძენი უსჯულოებისანი; დაუტევეთ უფალი და განარისკეთ წმიდა იგი ისრაელისა. რასლა იწყლვით და შესძინებთ უსჯულოებასა ყოველი თავი სლმობად და ყოველი გული მწუხარებად, კუალთაგან ფერპთა ვიდრე თავადმდე; არა არს მას შინა მწუხარება, სიცოცხლე, არა არს წყლული, არცა ნაგუემი, არცა ბრძვლი განსივებული; არა არს საღბუნი დასადებელი, არცა ზეთი, არცა შესახუეველი. ქუეყანა თქუენი ოპერ არს და ქალაქი თქუენი ცეცხლითა მომწუარა; სოფელსა თქუენსა წინაშე თქუენსა უცხოთესლი მოსქამენ, და მოოკრებულ არს და დაქცეულ ერისაგან უცხოთესლთასა. და დაშთეს ასული სიონისა ვითარცა კრავი ვენაცა შინა, და ვითარცა ხილის-საცავი და ვითარცა ქალაქი მოცული. უკეთუმცა არაუფალმან საბაოთ დამიცვნა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომელნიცა შევიქმენითცა და გომორელთა მივემსგავსენით. (ასწლოვანი მატიანე 178-179)

მატიანიდან მოხმობილი ამ ციტატის დასაწყისში, როგორც ვხედავთ, ქვეყნის წახდენის მიზეზად ავტორი მის მკვიდრთა ზნეობრივ დაცემას ასახელებს, რაც ნიშანდობლივია შეუ საუკუნეების ისტორიოგრაფიული აზროვნებისათვის, მაგრამ, ამავე დროს, საინტერესოა, რომ უამთააღმწერლის, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მონათხრობის სიტყვიერი მასალა, ფაქტობრივად, მთლიანად ბიბლიიდან, კერძოდ კი, რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლედან მომდინარეობს, რომელშიც ვკითხულობთ:

## La traduction comme dialogue interlingual et interculturel

და ვითარცა არა გამოიცადეს ღმერთი, რამთამცა აქუნდა მეცნიერებით, მისცნა იგინი ღმერთმან გამოუცდელსა მას გონებასა საქმედ უჯეროვასა. აღსავსენი ყოვლითა სიცრუითა, სიძვითა, ყოვლითა უკეთურებითა, ანგარებითა, ბოროტებითა, სავსე შურითა, კაცის-კლიკითა, პდომითა, ზაკუითა, ბოროტის ჩუეულებითა, ცუდრუკებითა ძვრის მეტყუელ, ღმრთის შემაწუხებელ, მაგინებელ, ამპარტავან, ლალ, მომპოვნებელ ბოროტისა, მამა-დედათა ურჩ, უგულისკმო, უწესო, უყუარულ, უწირავ, უწყალო. (1, 28-31)

ასწლოვანი მატიანის ციტირებული ეპიზოდი რუსულ თარგმანში ასეა წარმოდგენილი: „ибо страна Грузинская была отдана на разор в силу того, что цари и мтавары **отрешились от правосудия, милосердия, любви, справедливости, а взамен обрели высокомерие, коварство, зависть, злобность, хищение, ненависть, сребролюбие, убийство, блуд**“ (Столетия летопись 342).

ჩვენ, ცხადია, ყურადღებით გავეცანით რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს შესაბამისი მუხლების რუსულენოვან ტექსტს, რომელიც, როგორც მოსალოდნებლი იყო, ლექსიკურად უფრო ზუსტად ასახავს ქართველი ჟამთააღმწერლის სათქმელს, ვიდრე თხზულების თარგმანი. ამიტომაც მიგვაჩინა, რომ შუა საუკუნეების მწერლობის ნიმუშების ტრანსფერი სხვა ენაზე მათი ინტერტექსტუალური პარადიგმების წვდომის ადეკვატურ უნარსაც მოითხოვს. გასათვალისწინებელია, რომ მედიევალურ კულტურაში და კონკრეტულად მწერლობაშიც ადამიანი / მკითხველი ეძებდა უფრო ნაცნობსა და ტიპურს, ვიდრე განსხვავებულსა და ორიგინალურს. ასეთია ამ კულტურის, ამ პერიოდის ტექსტების ბუნება. ცონბილი მედიევისტი ა. გურევიჩი შენიშვნავს, რომ

ციტატები და სესხებანი ძველი ავტორებიდან, ფორმულარები და კლიშე იყო გამოთქმის ბუნებრივი ხერხი ეპოქაში, როცა ავტორიტეტი ნიშნავდა ყველაფერს, ხოლო ორიგინალობა – არაფერს. საერთო ადგილების – topoi – ბატონობა ლიტერატურაში ავტორის მიერ საკუთარი აზრების გამოთქმის განსაკუთრებულ ხერხს წარმოადგენდა. (Категории средневековой культуры 140)

ნიშანდობლივია, რომ ასწლოვანი მატიანის “ჩვენ მიერ შესწავლილ მონაკვეთში ავტორის ემოციური დისკურსი, ერთი მხრივ, იმ ეპოქაში ყველაზე დიდი ავტორიტეტის – ბიბლიის – წიგნთა კვალობაზეა განვითარებული, ხოლო მეორე მხრივ, მასში უშუალოდ ჩართულია ორი ციტატა საღვთო წერილიდან. ერთი მათგანი ხელნაწერებმა ასეთი სახით შემოინახა: „ვითარცა იტყვს წინასწარმეტეული: „ვაԶ მათდა, რომელი კუალსა ბალამისსა შეუდგეს და საქმესა სოდომელთასა იქმან“ (ასწლოვანი მატიანე 178), რუსულ თარგმანში კი შესაბამისი ადგილი ასე იკითხება: „как глаголет апостол: «Горе тем, кто стал

**на стезю Валаама»** и творят дела содомские“ (Столетняя летопись 342). Рогонропу зხედავთ, „წინასწარმეტყველს“ მთარგმნელი ცვლის „მოციქულით“. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში ის ეყრდნობა ქართლის ცხოვრების ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის სქოლიოს (ასწლოვანი მატიანე 178), რომელშიც მითითებულია ციტატა პეტრეს მეორე ეპისტოლედან: „შეუდგეს კვალსა მას ბალამ ბოსორელისასა“ (II პეტ. 2,15), რომელიც სრულად ასე ჟღერს: „დაუტევეს წრფელი იგი გზად, შესცეს და შეუდგეს გზასა მას ბალამ ბოსორელისასა, რომელმან-ივი სასყიდელი სიცრუისად შეიყუარა“. ნამდვილად შესაძლებელია, რომ მემატიანის წყარო ამ შემთხვევაში პეტრე მოციქულის ეპისტოლე იყოს, მაგრამ ქართული ტექსტის არცერთ გამომცემელს არ შუცვლია ხელნაწერთა იკითხვისი, რაც, ვფიქრობთ, არც მთარგმნელისგან არის მოსაწონი საქციელი, მით უმეტეს, რომ უამთააღმწერელი ზუსტად არ იმეორებს პეტრეს ეპისტოლეს ტექსტს და შეიძლება მის ან სხვა, მაგალითად, იუდას ეპისტოლეს (იუდ. 1,11) თავისუფალ პერიფრაზს მიმართავს, რომელშიც ასევე ბალამის შესახებ არის საუბარი, ისევე, როგორც ბიბლიის კიდევ რამდენიმე წიგნში. სინამდვილეში, ჩვენი აზრით, ასწლოვანი მატიანის ხელნაწერებში, რომლებმაც ჩვენამდე ქართლის ცხოვრების შემადგენლობაში მოაღწია და, ამდენად, საგმაოდ გვიანდელია, ამ ეპიზოდის დედნისეული ტექსტი გადამწერთა მიერ უნდა იყოს მცირედ შებლალული, შესაძლოა, დაზიანებული წყარო-ხელნაწერის ან უყურადებობის გამო. ვგულისხმობთ იმას, რომ წინასწარმეტყველი ასწლოვანი მატიანეში დამოწმებული ციტატის ავტორს კი არა, თვით ბალამ ბოსორელს უნდა გულისხმობდეს, რომელსაც ბიბლია სწორედ წინასწარმეტყველად წარმოგვიდგენს. ასწლოვანი მატიანის ტექსტი რომ ამ შემთხვევაში მართლაც გაუმართავია, გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ღვთისმეტყველებაში ესოდენ განსწავლულ მის ავტორს თავისი ბიბლიური წყარო, მისი ზეპირი დამოწმების შემთხვევაშიც, ნამდვილად არ შეეშლებოდა, ისევე როგორც ციტატაში არ შეიტანდა ფრაზის მეორე ნაწილს: „საქმესა სოდომელთასა იქმან“, რომელიც ბალამთან დაკავშირებული არცერთი ბიბლიური წიგნის კონტექსტში არ დასტურდება. ამიტომაც გამოიტანა, როგორც ჩანს, ის მთარგმნელმა ბრჭყალს გარეთ, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთი ჩარევა ტექსტში, რომელიც სულაც არ ემსახურება მის აღეავატურ შესწორებას, მთარგმნელისგან უმართებულოდ მიგვაჩნია. უმჯობესი იქნებოდა, თავისი მოსაზრება თარგმანისთვის კომენტარის ან სქოლიოს სახით დაერთო, როგორც მოიქა ქართლის ცხოვრების რედაქტორი – ს. ყაუხჩიშვილი.

მთელი ეს ეპიზოდი ხვარაზმელთა მიერ საქართველოს რბევისა და დატრიალებული უბედურების შესახებ ასწლოვანი მატიანეში

## La traduction comme dialogue interlingual et interculturel

სრულდება ესაიას წინასწარმეტყველებიდან ფაქტობრივად სიტყვა-სიტყვით მოხმობილი ვრცელი ციტატით (1, 4-9), რომელიც მოსდევს ბალამ ბოსორელთან დაკავშირებული დამოწმების შემდეგ ისტორიკოსის მიერ განვითარებულ მცირე პროვიდენციალურ დისკურსს:

რამეთუ ყოველმან ასაკმან ბერთა და ჭაბუკთამან, მცირითგან ვიდრე დიდადმდე, მიაქციეს სიბოროტედ. რამეთუ სენი იგი სოდომელთა და სალმობა გომორელთა მოიწია, და ამის ძალითა მისცნა იგინი ღმერთმან წარწერედად ბოროტად, რამეთუ განვიწირენით ღმრთისა მიერ, რომელ დავივიწყეთ ღმერთი და ღმერთმანცა სამართლად დაგვიწყა. და მოოკრდა ქუეყანა საქართველოსა, ლიხთ-აქათ მოოკრდა [...]. (ასწლოვანი მატიანე 178-179)

ქართველი ისტორიკოსის ამ დისკურსის თარგმანზე ამჯერად არ შევჩერდებით. რაც შეეხება თავად ციტატას:

ვითარცა კმობს ესაია წინასწარმეტყუელი: “ვად ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს ცოდვითა, ნათესავნი ბოროტნი, ძენი უსჯულოებისანი; დაუტევეთ უფალი და განარისპერ წმიდა იგი ისრაელისა. რასღა იწყლვით და შესძინებთ უსჯლოებასა ყოველი თავი სლმობად და ყოველი გული მწუხარებად, კუალთაგან ფერწთა ვიდრე თავადმდე; არა არს მას შინა მწუხარება, სიცოცხლე, არა არს წყლული, არცა ნაგუემი, არცა ბრძვლი განსივებული; არა არს სალბუნი დასადებელი, არცა ზეთი, არცა შესახუეველი. ქუეყანა თქუენი ოპერ არს და ქალაქი თქუენი ცეცხლითა მომწუარა; სოფელსა თქუენსა წინაშე თქუენსა უცხოთესლნი მოსქამენ, და მოოკრებულ არს და დაქცეულ ერისაგან უცხოთესლთასა. და დაშთეს ასული სიონისა ვითარცა ვრავი ვენაკსა შინა, და ვითარცა ხილის-საცავი და ვითარცა ქალაქი მოცული. უკეთუმცა არა უფალმან საბაოთ დამიცვნა ჩუერ თესლი, ვითარცა სოდომელნიცა შევიქმნითცა და გომორელთა მივემსგავსენით. (ასწლოვანი მატიანე 178-179)

შევნიშნავთ, რომ დამოწმებული პასაუის რუსულ თარგმანში გვხვდება მთელი რიგი სერიოზული და ზოგჯერ გაუმართლებელი უზუსტობანი:

как говорит пророк Исаия: «О, горе роду неправедному, народу, что полон греховности, злобные племена, отпрыски безверных; отвергли Владыку и разгневали святого оного Израиля. К чему вы уязвляете себя и присовокупляетесь к безверию, подвергаете головы свои недугам и сердца стенаниям и вновь от пят и до темени; нет в том печали, жизни ни страданий, ни раны опухающей; нет елея

**целительного ни масла, ни повязок.** Страна наша опустошена и город ваш сожжен пламенем; деревню вашу пред вами съедят люди чуждого семени и разорены **они и повергены народом чуждого семени.** И остались дщери Сиона, словно агнцы в винограднике и словно **овощное ханилище**, и словно город осажденный. Ежели бы бог Саваоф оставил нам семя, то обратились бы мы в (людей) Содома и уподобились бы (людям) Гоморры. (*Столетняя летопись* 342)

აღნიშნულ უზუსტობათა<sup>4</sup> აცილება მთარგმნელს თავისუფლად შეეძლო, თუკი ესაიას წინასწარმეტყველების რუსულ ტექსტს გაეცნობოდა, მით უმეტეს, რომ ამჯერად ქართველი ისტორიკოსი ერთმნიშვნელოვნად ასახელებს წყაროს და როგორც აღვნიშნეთ, სიტყვა-სიტყვით იმეორებს კიდეც მას. შესაბამისად, მისი სიტყვასიტყვითი თარგმანია ესაიას წინასწარმეტყველების რუსული ტექსტიც:

Увы, народ грешный, народ обремененный беззакониями, племя злодеев, сыны погибельные! Оставили Господа, презрели Святаго Израилева,- повернулись назад.

Во что вас бить еще, продолжающие свое упорство? Вся голова в язвах, и все сердце исчахло.

От подошвы ноги до темени головы нет у него здорового места: язвы, пятна, гноящиеся раны, неочищенные и необвязанные и не смягченные елеем.

Земля ваша опустошена; города ваши сожжены огнем; поля ваши в ваших глазах съедают чужие; все опустело, как после разорения чужими.

И осталась дщерь Сиона, как шатер в винограднике, как шалаш в огороде, как осажденный город.

Если бы Господь Саваоф не оставил нам небольшого остатка, то мы были бы то же, что Содом, уподобились бы Гоморре. (1, 4-9)

განსაკუთრებით საკვირველია ისეთი მყარი მეტაფორა-სიმბოლოს სახეცვლილება (მრავლობით რიცხვში გადაყვანა) თარგმანში, როგორიც „სიონის ასულია“, რომელიც ბიბლიაში უმთავრესად იერუსალიმს აღნიშნავს. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ის ესაიას წინასწარმეტყველების დამოწმებულ კონტექსტშიც. ამასთანავე, რუსულ ტექსტში ლექსიკურად არასათანადოდ არის გამართული ამ მეტაფორა-სიმბოლოს შემცველი მთელი წინადაღებაც ასწლოვანი ძატიანიდან:

4. მათ თარგმანის დამოწმებულ ამონარიდში ვუჩვენებთ გამუქებული ასონიშნებით დაბეჭდილი ტექსტის სახით – ი. ნ.

„დაშთეს ასული სიონისა ვითარცა კრავი ვენაჟსა შინა, და ვითარცა ხილის-საცავი და ვითარცა ქალაქი მოცული“ (ასწლოვანი მატიანე 179) – „И остались дщери Сиона, словно агнцы<sup>5</sup> в винограднике и словно овощное хранилище, и словно город осажденный“ (Столетняя летопись 342), მაშინ, როცა ესაიას წინასწარმეტყველებაში რუსულ ენაზე შესაბამისი ადგილი ასე იკითხება: „И осталась дщерь Сиона, как шатер в винограднике, как шалаш в огороде, как осажденный город“ (1,8).

დასასრულ, ვიტყვით, რომ ასწლოვანი მატიანის რუსულ თარგმანზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ, ფაქტობრივი და ლინგვისტური თვალსაზრისით, ის უმთავრესად კარგად არის გამართული. მთარგმნელი ოსტატურად ფლობს სიტყვას, რის გამოც მისი ნაშრომი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, არის მთელი რიგი უზუსტობანი, განსაკუთრებით კი თხზულების ინტერტექსტთან დაკავშირებით, რომელიც, საერთოდ, მედიევალურ მწერლობაში და, კერძოდ, ისტოგრაფიაშიც ბიბლიური ციტატებისა და აღუზიების სახით ვლინდება და მრავლისმნიშვნელია ფაქტების ინტერპრეტირებისა და შეფასებისას, რისი უგულებელყოფაც ამ ეპოქის ტექსტების მთარგმნელთა მხრიდან სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია.

### ბიბლიოგრაფია

- კეკელიძე, კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, „მეცნიერება“, 1981.  
კიკნაძე, რევაზ, უამთააღმწერელი და მისი „ასწლოვანი მატიანე“, in უამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი, „მეცნიერება“, 1987, გვ. 10-37.  
უამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, in ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, სახელგამი, 1959.  
უორდანია, თედო, ქრონიკები, III, თბილისი, „მეცნიერება“, 1967.  
ჯავახიშვილი, ივანე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, in ჯავახიშვილი, ივანე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.

5. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ უამთააღმწერლის ტექსტის გამოცემაში, რომლითაც სარგებლობს მთარგმნელი, როგორც ჩანს, გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომის გამო დასტურდება მცდარი იკითხვისი „კრავი“, ნაცვლად სიტყვისა „კარავი“, როგორც ეს ისტორიკოსის ბიბლიურ წყაროში – ესაიას წინასწარმეტყველების 1-ლი თავის მე-8 მუხლშია: „ვითარცა კარავი ვენაჟსა შინა“.

- Гринин, Леонид, “Византийская историография и теория истории”, in *Философия и общество*, Выпуск №2 (58), 2010, [https://www.socionauki.ru/journal/fio/archive/2010\\_2/](https://www.socionauki.ru/journal/fio/archive/2010_2/) (ბაზა 12 აპრილი 2020).
- Гуревич, Арон, *Категории средневековой культуры*, Москва, „Искусство“, 1972.
- Досталова, Ружена, “Византийская историография (характер и формы)”, in *Византийский временник*, Т. 43 (68), Москва, „Наука“, 1982.
- Столетняя летопись (Анонимный хронограф XIV в.) [1959, Гиви Цулая], in *Картлис ცხოვребა (История Грузии)*, Тбилиси, „Артануджи“, 2008.